პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

1973 წ.
№ 54 (4824)
18 მარტი, კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან



ამას წინათ თბილისელი და რუსთაველი სპორტის მოყვარულები დელისში და იალღუჯის მთის ფერდობებზე მოტოკროსში საკავშირო ჩემპიონატის პირველი და მეორე ეტაპების საინტერესო შეჯიბრებების მოწმენი იყვნენ: სსრ კავშირის უძლიერესი სპორტსმენები თავდაუზოგავად იბრძოდნენ, რათა ათასობით მაყურებლისთვის თავიანთი ოსტატობა ეჩვენებინათ.

• • •

სურათზე: იალღუჯის ფერდობზე შეჯიბრების მომენტი.

მ. ზარგარიანის ფოტო.
(ჩვენი სპეც. კორ.).
რუსთავი.

საპატიო სიგელი ავთანდილ ღოღობერიძეს

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 15 მარტის ბრძანებულებით ქართული საბჭოთა სპორტის განვითარებაში დიდი დამსახურებისთვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა სპორტის დამსახურებული ოსტატი **ავთანდილ ნიკოლოზის ძე ღოღობერიძე.**

რეკორდი

კიევი, 16 მარტი. დღეს აქ დაიწყო წყალქვეშ ცურვაში სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალური შეჯიბრება, რომელშიც წარმატებით იასპარეზა ლენინგრადის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის სტუდენტმა ქალმა, 18 წლის თ. სამოტოიმ: 400 მეტრზე ფარფლებით ცურვაში მან მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 4.03,2.

უპირატესობა აშკარა იყო

ალჟირი, 16 მარტი. ალჟირის გზებზე დამთავრდა ტრადიციული მრავალდღიანი საერთაშორისო ველოსიპედისტური ველორბოლა „ანაბის გრან-პრი". სხვათა შორის, ამ ქალაქში სსრ კავშირის ხელშეწყობით მეტალურგიული კომბინატი „ელ-ხაჯარი" შენდება.

შესანიშნავად იასპარეზეს საბჭოთა ველოსიპედისტებმა (გუნდში იყვნენ მოსკოველები ა. სტარკოვი, ი. ლავრუშკინი, მოსკოვის ოლქის წარმომადგენელი ნ. გორელოვი, კუიბიშეველი ვ. კირიჩენკო და ლენინგრადელი ვ. ნელიუბინი): მათ გუნდურ ჩათვლაში ანაბის დიდი პრიზი მოიხვეჭეს და პირად ჩათვლაშიც აჯობეს ყველას.

ექვსი ეტაპის ჯამში გამარჯვებული საბჭოთა გუნდის დროა 61:29.09. ეს ბევრად სჯობს II ადგილზე გასული შვედების მაჩვენებელს. პირად ჩათვლაში საუკეთესო ველოსიპედისტის გორელოვის შედეგია 20:30.13.

როგორც ალჟირის გაზეთები წერენ, „რბოლის ექვსივე ეტაპზე აშკარა იყო ბრწყინვალე საბჭოთა ველოსიპედისტების ანსამბლის უპირატესობა. სსრ კავშირის წარმომადგენლებმა საუცხოო საბრძოლო თვისებები, ტექნიკა და შესაშური გამძლეობა გამოავლინეს".

უმაღლესი ლიგა

16 მარტს

ტარტუს „კალევმა" ლენინგრადის „სპარტაკს" უმასპინძლა. დაძაბული ბრძოლა ნევისპირელებმა მოიგეს — 57:53.

გამარჯვებულთა შორის ყველაზე შედეგიანი იყო ა. ბელოვი — 25 ქულა.

ვოროშილოვგრადში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ავტომობილისტი" და კიევის „სტროიტელი". პირველი ტაიმი 3 ქულით მოიგეს მასპინძლებმა — 35:32. მათ არც შესვენების შემდეგ დათმეს ინიციატივა და გაიმარჯვეს — 83:77.

გუშინ...

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა მორიგი მატჩი: „დინამო" (თბილისი) — ცსკა. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 96:79 (46:40).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 მარტისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	21	19	2	1847—1523	19
„სპარტ."	20	16	4	1560—1427	16
„ქალვ."	20	14	6	1504—1443	14
„დ." (მ).	20	12	8	1469—1446	12
„დ." (თბ.)	21	11	10	1550—1569	11
„სტრ."	20	8	12	1438—1480	8
ასკ	20	6	14	1313—1409	6
„კალევი"	21	6	15	1419—1506	6
რტი	20	5	15	1419—1560	5
„ავტომ."	19	4	15	1332—1488	4

◆ **რიჩმონდი, 17 მარტი.** ამერიკის ამ ქალაქის ზამთრის სტადიონ „კოლიზეუმში" სსრ კავშირის მძლეოსანთა ნაკრებმა აშშ-ს გუნდს სძლია — 146:141. სტუმრების ვაჟთა კოლექტივმა ანგარიშით 84:76 დაამარცხა მეტოქე, ხოლო ქალთა ასპარეზობა მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა — 65:62.

ხოლო
გაზეთი
დასაბეჭდად
მზად
იყო... 19⁴⁵

სსრ კავშირის პირველობა

„ა" ქვ. I ჯგუფი

თბილისელი ქალები ოთხეულში!

ქალთა საკავშირო პირველობის ყოველ ტურს კონკრეტული დანიშნულება აქვს. პირველმა ეტაპმა გამოავლინა უმაღლესი ლიგის ორი საგზურისთვის მებრძოლი 6 გუნდი, მეორემ კიდევ უფრო დაწურა პრეტენდენტთა რიგები, მესამე, სადაც მხოლოდ ღირსეულთა კვარტეტი გამოდის, უშუალოდ დაასახელებს უმაღლესი ლიგის ორ ახალ ბინადარს.

14 მარტს დნეპროპეტროვსკში დამთავრდა რვა უძლიერესი გუნდის ასპარეზობა. დასკვნით ტურში გასასვლელად იბრძოდნენ მოსკოვის „დინამო", დონის როსტოვის „ბურევესტნიკი", საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, მინსკის „რადიოტექნიკი", ფრუნზეს „სტროიტელი", კიშინიოვის „ინჟდორსტროი", პენზის „სპარტაკი" და დნეპროპეტროვსკის „სტალი".

ოთხეულში მოხვდნენ მოსკოვის დინამოელები (მათ სამიდან 3 ოქროს ქულა აქვთ), ფრუნზეს (2 ქულა), დნეპროპეტროვსკისა (1) და თბილისის (არც ერთი) კალათბურთელები. მას შემდეგ, რაც სპი-მ მძიმე დანაკლისი განიცადა ნიჭიერი სპორტსმენის ს. კორობოვას ტრაგიკული დაღუპვით, გუნდის საბრძოლო პოტენციალი მნიშვნელოვნად შემცირდა. და მაინც, თბილისელებმა გადამწყვეტი ბრძოლა მოუგეს მინსკის „რადიოტექნიკს" (58:57), რის შემდეგაც ქულათა რაოდენობით გაუტოლდნენ როსტოვის, კიშინიოვისა და პენზის კოლექტივებს. ურთიერთშეხვედრების უკეთესი ბალანსით საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელმა ქალებმა ფინალისტთა ოთხეულში თამაშის უფლება მიიღეს.

გადამწყვეტი მატჩები ამ ოთხ კოლექტივს შორის (ანუ ფაქტიურად ასპარეზობის მეორე წრე) 15 აპრილს დაიწყება. შეჯიბრების ადგილი ჯერ უცნობია.

ცნობები სოციალისტური ქვეყნებიდან

ბერლინი, 15 მარტი. გერმანული სპორტულ-ტანვარჯიშული კავშირის კლუბებში რეგულარულად მეცადინეობს გდრ-ის 2,3 მილიონი მცხოვრები ანუ მთელი მოსახლეობის 13,7 პროცენტი. შარშან სპორტულ საზოგადოებათა რიცხვი რესპუბლიკაში 80-ით გაიზარდა და ახლა 7500-ზე მეტია.

1972 წელს ზემოხსენებული კავშირის წევრი გახდა 100 ათასი კაცი, რომელთაგან 22 ათასი ახალგაზრდაა — 14-დან 18 წლამდე. კავშირის საპატიო სამკერდე ნიშნის ტარების უფლება მასობრივ შეჯიბრებებში მოპოვებული წარმატების წყალობით მიენიჭა 370 ათას საშუალო ასაკისა და ხანდაზმულ ადამიანს, 226 ათას ახალგაზრდას, 448 ათას სულ ნორჩ ფიზკულტურელს.

ვარშავა, 15 მარტი. პოლონეთის სოფლებში ტურიზმი სულ უფრო პოპულარული ხდება. 1972 წელს სოფლად შექმნილი იყო 19 ათასამდე ტურისტული სექცია, რომლებშიც ნახევარი მილიონი კაცი მეცადინეობდა. შარშან სასოფლო სპორტულმა საზოგადოებებმა 150 ათასი ტურისტული ლაშქრობა და ექსკურსია მოაწყვეს. ასი ათასობით სოფლის მცხოვრები მიიზიდა ისეთმა ღონისძიებებმა, როგორიცაა, მოტოკროსები „ოქროს ჩაფხუტი", „ვიზიტი მეზობლებთან", „კვირას შევხვდებით".

ტურისტული ღონისძიებები ხშირად სამოქალაქო აღზრდის კარგი სკოლაა. მაგალითად, ასეთი შეჯიბრებაა ტურისტული მოტოგადარბენა ლიუბლინის სავოევოდოს პარტიზანთა საბრძოლო გზებზე. შარშან ამ შეჯიბრებაში 2 ათასამდე კაცმა მიიღო მონაწილეობა.

ამას წინათ ვარშავაში პოლონეთის სასოფლო-სამეურნეო სპორტსაზოგადოებათა აქტივის თათბირი მოეწყო. იქ ითქვა, რომ საჭიროა ხშირად ჩატარდეს სოფლის მცხოვრებთა ექსკურსიები ქალაქადაც.

სოფია, 15 მარტი. ათი წლის წინ შექმნილი არმიელთა სპორტული სკოლა „ჩავდარი" სპორტის ოსტატთა ნამდვილ სამჭედლოდ იქცა. ამ სკოლის ხუთი აღსაზრდელი მსოფლიო ჩემპიონია, 26-მა ბალკანიადებში გაიმარჯვა, 16 მსოფლიო რეკორდსმენია, 300 კი ბულგარეთის ჩემპიონი სპორტის სხვადასხვა სახეობაში. სკოლის 18 აღსაზრდელი მიუნხენის ოლიმპიადის მონაწილე გუნდში გამოდიოდა. ძალოსანი ი. ბიკოვი და მოკრივე გ. კოსტადინოვი ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ.

„ჩავდარი" კარს უღებს ნიჭიერ სამხედრო სპორტსმენებს, რომლებიც სკოლის დამთავრების შემდეგ უკვე ფიზკულტურის ინსტრუქტორები არიან. სკოლა დიდი არ არის: სულ 25 სახეობის 300 ჭაბუკ წარმომადგენელს აერთიანებს. მოსწავლეებს ამეცადინებენ მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელები, რომელთა შორის არიან ცნობილი სპორტსმენები, სპორტის დამსახურებული ოსტატები ს. პილიჩევი, ტ. სიმოვი, ც. პაშკულევი და სხვ. მდიდარი სპორტული ბაზა საუცხოო პირობებს ქმნის უმაღლეს დონეზე წვრთნისთვის. მეცადინეობებს აკვირდებიან მეცნიერები, რომლებიც კვლევის დროს უახლეს აპარატურას იყენებენ.

საჭელი [illegible]

გავუფრთხილდეთ სპორტული კოლექტივის ღირსებას!

სპორტსმენი თვალისჩინივით უნდა უფრთხილდებოდეს თავისი აღმზრდელი კოლექტივის ღირსებას, მისი ერთგული უნდა იყოს. საჭიროა შეურიგებელი ბრძოლა გამოვუცხადოთ საბჭოთა საზოგადოებისთვის უცხო თვისებებს — ყოყოჩობას, მედიდურობას, სხვის კმაყოფაზე ყოფნისკენ მისწრაფებას. ამ მნიშვნელოვან პრობლემებზე ლაპარაკია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის დადგენილებაში „ერთი ფიზკულტურული ორგანიზაციიდან მეორეში სპორტსმენთა გადასვლის წესის თაობაზე". დადგენილებაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ დაუშვებელია „სპორტული ეთიკის დარღვევა და ერთი ორგანიზაციიდან მეორეში ანგარების მიზნით გადასვლა". არ შეიძლება გავამართლოთ მწვრთნელები, რომლებიც პირადი ინტერესების გამო იცვლიან სამუშაო ადგილს და თან მიჰყავთ თავიანთი აღსაზრდელებიც. ისინი ძალიან ნაკლებად ფიქრობენ საერთო საქმეზე, სპორტსმენთა ოსტატობის ზრდაზე.

არ შეიძლება შევურიგდეთ იმას, რომ სპორტულ ორგანიზაციათა ზოგიერთი ხელმძღვანელი სპორტსმენებთან მუშაობას მათს გადმობირებას ამჯობინებს.

ახალი ინსტრუქცია განსაზღვრავს, რომ ერთი ფიზკულტურული ორგანიზაციიდან მეორეში სპორტსმენთა გადასვლისთვის დამაჯერებელი საბუთი შეიძლება იყოს სამხედრო სამსახურში გაწვევა, სამხედრო მოსამსახურის ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანა ან შეიარაღებული ძალებიდან გათავისუფლება, უმაღლესი ან საშუალო სპეციალური სასწავლებლის დასწრებულ განყოფილებაზე, ასპირანტურაში ჩარიცხვა, საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა დაქორწინებასთან დაკავშირებით (19 წლამდე ასაკის სპორტსმენებისთვის მშობლების გადასვლის გამო), აგრეთვე, სამუშაო ადგილის შეცვლა ძირითადი სპეციალობის მიხედვით.

გამონაკლისის დაშვება შეიძლება მხოლოდ სსრ კავშირის ნაკრები გუნდების კანდიდატებისთვის. მათთვის სხვა სპორტულ ორგანიზაციაში გადასვლა ნებადართულია იმ შემთხვევაშიც, როცა ძველ ადგილზე ოსტატობის შემდგომი სრულყოფისთვის აუცილებელი სამეცნიერო-მეთოდური, სამედიცინო, მატერიალურ-ტექნიკური პირობებით უზრუნველყოფილი არ არიან. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სსრ კავშირის სპორტკომიტეტმა შესაბამისი ფედერაციის წარდგენის შემდეგ.

გადასვლის წესების დამრღვევ სპორტსმენებს ედებათ დისციპლინარული სასჯელი დისკვალიფიკაციამდეც კი. სპორტული ორგანიზაციების მუშაკებსა და მწვრთნელებს, რომლებიც სპორტსმენთა გადაბირებას ეცდებიან და ხელს შეუწყობენ მათს დაუსაბუთებელ გადასვლა-გადმოსვლას, ემუქრებათ სასჯელი სამუშაოდან განთავისუფლებამდე და პედაგოგიური მოღვაწეობის უფლების ჩამორთმევამდე.

ფეხბურთში გადასვლის საკითხი ცალკე მოქმედი ინსტრუქციის მიხედვით ხდება.

(საქდესი).

ფინალისთვის მზადებისას

სვერდლოვსკი, 15 მარტი. შეიქმნა სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის ფინალური ასპარეზობის საორგანიზაციო კომიტეტი სვერდლოვსკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ა. ბორისოვის ხელმძღვანელობით. კომიტეტის შემადგენლობაში 32 კაცია.

სკკპ საოლქო კომიტეტის ბიუროს და აღმასკომის ერთობლივი დადგენილებით დამტკიცდა ფინალური ასპარეზობისთვის მზადების ღონისძიებები. კერძოდ, განზრახულია უკტუსის მთებზე ახალი ტრასების მოწყობა სლალომისა და ციგაობისთვის, 70-მეტრიანი ტრამპლინის რეკონსტრუქცია და 40-მეტრიანის აგება. აშენდება, აგრეთვე, სათხილამურო სტადიონი 3000 ადგილით.

განზრახულია ფინალურ შეჯიბრებათა დღეებში შუა ურალის ქალაქებსა და მუშათა დაბებში მოეწყოს სპორტული ფილმების ფესტივალი, შეხვედრები გამოჩენილ სპორტსმენებთან და მწვრთნელებთან.

სპარტაკიადის მონაწილეებისთვის გამოუშვებენ სამახსოვრო სამკერდე ნიშნებსა და სუვენირებს.

(საქდესი).

სტარტზეა ყოველი მეათე

მშდ ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში ჩაება უკვე 165 ათასამდე კაცი — ბრიანსკის ოლქის ყოველი მეათე მცხოვრები. როგორც სკკპ ბრიანსკის საოლქო კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, ახალი კომპლექსის დანერგვამ გამოაცოცხლა ბევრი ფიზკულტურული კოლექტივის მუშაობა, განამტკიცა სპორტული ორგანიზაციების მატერიალური ბაზა. შარშან, მაგალითად, აიგო 24 სპორტული დარბაზი, სათხილამურო ტრამპლინი, ასობით ტირი, სპორტული მოედანი, გაიხსნა საჭადრაკო კლუბი.

...მიუხედავად იმისა, რომ ზამთარი უკვე „თმობს პოზიციებს", ბრიანსკის ოლქის ქალაქებისა და სოფლების სათხილამურო ტრასებზე, ყინულის მოედნებზე ისევე სალხმრავლობაა. საწარმოებში, მეურნეობებში, სასწავლებლებში ტარდება ზამთრის სპარტაკიადები, მშდ კომპლექსისადმი მიძღვნილი შეჯიბრებები, დღესასწაულები. სტარტზე ათასობით სპორტის მოყვარული გამოდის.

ბიუროს სხდომაზე აღინიშნა ის ნაკლოვანებებიც, რაც ჯერ კიდევ შეიმჩნევა ახალი კომპლექსის პროპაგანდის საქმეში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სპორტული ბაზების — უმარტივესი საცურაო აუზების, სპორტული მოედნებისა და სტადიონების მშენებლობას.

დ. კუზნეცოვი.

ბრიანსკი. (საქდესის კორ.).

აქტივზე დაყრდნობით

ფიზკულტურის კოლექტივებში

ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის ადმინისტრაცია, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები გამუდმებით ზრუნავენ ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში თანამშრომელთა მეტი რაოდენობით ჩაბმისთვის. ამან ფიზკულტურული კოლექტივის საქმიანობა უფრო მრავალფეროვანი გახადა.

საწარმოს სპორტსმენთა თავკაცია ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტი ო. კაკულია, რომელსაც მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს.

მეთოდისტს მხარში უდგანან და სექციებს საზოგადოებრივ საწყისებზე ხელმძღვანელობენ თანრიგოსანი მუშა-სპორტსმენები ვ. ჩიმაკაძე, გ. ფხაკაძე, გ. გურეშიძე, ო. მოლჩანოვა და სხვ. რეგულარულად ეწყობა შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები. განსაკუთრებით პოპულარულია ტურიზმი. ამ სახეობის სექციაში, რომელსაც მუშა სპორტსმენები ვ. ჩიმაკაძე და გ. ჩარქსელიანი ხელმძღვანელობენ, 300-მდე კაცია გაერთიანებული. კარგად მუშაობენ მონადირეთა და მეთევზეთა სექციებიც.

მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩამბარებლებისთვის მოეწყო ტურისტული ლაშქრობები გელათში, გეგუთში, სათაფლიაზე, ხარისთვალაზე, ხვამლის მთაზე. ტურისტულ მრავალჭიდში მუხნარში გამართულ საქალაქო პირველობაში ქარხნის სპორტსმენებმა I ადგილი დაიკავეს.

მშდ ახალი კომპლექსის შემოღებისთანავე შეიქმნა ნორმატივების მიმღები კომისია (თავმჯდომარე — ქარხნის დირექტორის მოადგილე ქ. ქიშაევი).

ამას წინათ ქუთაისელებს ხარკოვის ელექტრომექანიკური ქარხნის სპორტული დელეგაცია ეწვია მათი მუშაობის გასაცნობად. მერე სპორტული შეჯიბრებებიც მოეწყო. ფეხბურთში გაიმარჯვეს მასპინძლებმა, ფრენბურთში კი სტუმრებმა.

ფიზკულტურულ კოლექტივს დიდად ეხმარება ყოველთვიური კედლის გაზეთი „ფიზკულტურელთა ხმა". გაზეთი მთავარ ყურადღებას მშდ კომპლექსს უთმობს.

ფიზკულტურულ მუშაობას კარგად ასახავს, აგრეთვე, ქარხნის მუზეუმში მოწყობილი სპორტული სტენდები, იქ გამოფენილი თასები, ვიმპელები, რეკორდების ცხრილები.

გ. დობორჯგინიძე,
ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს წევრი.

ნახევარზე მეტი პრიზიორია

ამას წინათ გროდნოში გაიმართა „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ 1952-1955 წლებში დაბადებული ახალგაზრდები. ჩვენი რესპუბლიკიდან ტურნირში 12 ათლეტი მონაწილეობდა, რომელთაგანაც ნახევარზე მეტი პრიზიორებში მოხვდა.

„ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონები გახდნენ ი. მაღალაშვილი (52 კგ), დ. ყვარელაშვილი (68 კგ. ორივე — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი), თ. მარსაგიშვილი (74 კგ), თ. მერმანიშვილი (100 კგ. ორივე — უნივერსიტეტი), ა. ჭუაძე (მძიმე. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი).

II საპრიზო ადგილებზე გავიდნენ უნივერსიტეტის სტუდენტები დ. ქელეხსაშვილი (62 კგ) და ა. რეხვიაშვილი (90 კგ).

თავი გამოიჩინეს სხვა ქართველმა მოჭიდავეებმაც. მართალია, ისინი პრიზიორთა შორის ვერ მოხვდნენ, მაგრამ სპეციალისტებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს. ესენი არიან ვ. როსტიაშვილი (74 კგ), ი. ბერიანიძე (68 კგ. ორივე — პოლიტექნიკური ინსტიტუტი) და თბილისელი მოსწავლე მ. მეკოკიშვილი (90 კგ). საპრიზო ადგილამდე სამივეს თითო საფეხური დააკლდა.

წლეულს ახალგაზრდა მოჭიდავეებს ბევრ საინტერესო ტურნირში მოუწევთ გამოსვლა. მათ შორის მთავარია უნივერსიადა და მსოფლიო პირველობა, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ ქალაქში მოეწყობა. ცხადია, „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს პირველობა მოჭიდავეთა ოსტატობის შემოწმებასაც ისახავდა მიზნად. სსრ კავშირის ახალგაზრდული გუნდების მწვრთნელებმა ტურნირის მსვლელობაში ჩაინიშნეს ნაკრების კანდიდატთა გვარები. უნივერსიადისთვის მოემზადებიან მაღალაშვილი, ყვარელაშვილი და ჭუაძე, მსოფლიო ჩემპიონატისთვის კი მათ მერმანიშვილიც დაემატება.

ც. ფცქიალაძე.

„თავდაცვის სახლის" მსხვერპლი

თბილისში, შაუმიანის ქუჩას თავიდან ბოლომდე რომ გაჰყოლოდით, ვერსად ნახავდით ისეთ კალათბურთის მოედანს, როგორიც 78-ე საშუალო სკოლის გვერდით იყო. ბაზას კარგი გასახდელები, ტრიბუნები და შესანიშნავი სარბიელი ჰქონდა. ერთი სიტყვით, სკოლის კი არა, მთელი 26 კომისრის სახელობის რაიონის კალათბურთის მოყვარულებიც კი უკეთეს ბაზას ვერ ინატრებდნენ.

თავდაპირველად შეჯიბრებებიც ხშირად ტარდებოდა, ბაზას კარგადაც უვლიდნენ, მაგრამ მერე კალათბურთისადმი სიყვარული თუ გაუნელდათ: მოედანი უპატრონობით თანდათან გავერანდა. ტრიბუნების მაგიერ სკამების დასამაგრებელი რკინა-ბეტონის კონსტრუქცია დარჩა (იხ. ზედა სურათი).

მოსალოდნელი იყო, რომ ტრიბუნების აღდგენისთვის სკოლის დირექცია იზრუნებდა. მოედნის კეთილმოწყობა მართლაც განიზრახეს, მაგრამ მერე სკოლის გვერდით დოსააფის „თავდაცვის სახლის" მშენებლობა დაიწყო, რამაც სკოლის სხვა სპორტული ბაზებიც (სარბენი ბილიკები, სახტომი სექტორები) შეიწირა. ახლა კალათბურთის მოედანი ისეთი სანახავია, როგორსაც ქვედა ფოტოზე ხედავთ. სპორტული ბაზა აგურის, სილისა და სხვა სამშენებლო მასალის საწყობად, ამწეს სანავარდოდ გადაიქცა, მოსწავლეები კი ცარიელზე დარჩნენ. 78-ე სკოლაში ამიტომაც უჭირთ მშდ კომპლექსის ნიშნოსნების, თანრიგოსნების მომზადება. სკოლის ფიზკულტურული საბჭო, ფიზაღზრდის მასწავლებლები გამოსავალს სხვა ბაზებზე ეძებენ.

მართალია, სკოლის გვერდით „თავდაცვის სახლის" აგება კარგი საქმეა, მოსწავლეებს დოსააფის ტირში ვარჯიშისა და სპორტის სხვა ტექნიკური სახეობების დაუფლების საშუალებაც ექნებათ, მაგრამ ხომ შეიძლებოდა საქმე ისე გაგვეკეთებინათ, რომ ძველი არ გაგვერანებულიყო?

კარგა ხანია ასეა. ალბათ კიდევ კარგა ხანი გაივლის, ვიდრე მშენებლობა დამთავრდება, ვიდრე დოსააფი ამ მოედანს აღადგენს (აღადგენს კი?!).

რა ქნან მანამდე ბავშვებმა?

ო. ივდოშვილი.





მე-7 ტირაჟის შედეგები

„სპორტლოტოს" საქართველოს ზონალურ სამმართველოში ცნობილი გახდა 1973 წლის მე-7 ტირაჟის შედეგები. ჩვენი რესპუბლიკის ორმა წარმომადგენელმა ზუსტად ამოიცნო ხუთი სახეობა და თითოეული მათგანი მიიღებს 1312 მანეთს. 221 მონაწილემ ამოიცნო ოთხი სახეობა, რისთვისაც მიიღებენ 32-32 მანეთს, ხოლო 3408 „მოასპარეზემ" სწორად გადახაზა სამი ციფრი — 3-3 მანეთი.

„სპორტლოტოს" მორიგი, მე-8 ტირაჟი მოეწყობა 20 მარტს ტაშკენტში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიწვევთ ტელეეკრანებთან

„ვინ უკეთ, ვინ სწრაფად“...

ამ რამდენიმე წლის წინ საქართველოს ტელევიზიით მოეწყო პირველი გადაცემა პიონერული თამაშებისა „ვინ უკეთ, ვინ სწრაფად“. ამ გადაცემას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ბევრი კეთილი სურვილიც გამოითქვა, მაგრამ ყველაფერი ერთი შეხვედრით დამთავრდა. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ეს თამაშებიც დავიწყებას მიეცა. თუმცა მსგავსი შეჯიბრებები უაღრესად პოპულარულია როგორც ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში, ისე სოციალისტურ ქვეყნებში.

წლეულს ჩვენს რესპუბლიკაში ისევ მოეწყო პიონერული თამაშები, რომელიც 31 იანვარს საქართველოს ტელევიზიით გადაიცა. კომკავშირის ორჯონიკიძის რაიკომის თაოსნობით ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის მე-60 და 61-ე საშუალო სკოლების გუნდები. შეჯიბრებისადმი დიდ ინტერესს ისიც მოწმობს, რომ სპორტის სასახლეში გამართულ შეხვედრას 7 ათასამდე მაყურებელი დაესწრო. შეჯიბრებაში, რომლის პროგრამაც ქართულ ხალხურ თამაშებზე იყო აგებული, ორივე სკოლის ორასამდე მოსწავლის გვერდით მონაწილეობდნენ სკოლების დირექტორები (ლ. ჩხარტიშვილი, კ. ვადაჭკორია) და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებიც (ზ. ჭახუჟაძე, უ. კოხრეიძე).

მაინც რით არის ეს თამაში საინტერესო?

პირველ ყოვლისა იმით, რომ იგი მასობრივია, ყველასთვის მისაწვდომი, დიდ მომზადებას არ მოითხოვს, ხელს უწყობს ქართული ხალხური თამაშების აღდგენას. რაც მთავარია, ამ თამაშებში წაგებული არავინ რჩება, იმარჯვებს ჯანმრთელობა, სიხალისე და ახალგაზრდობა.

სიამოვნებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამჟამად საქართველოს კომკავშირის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების, საქართველოს ტელევიზიის თაოსნობით შემუშავებულია დებულება, შერჩეულია თამაშები. დებულება თბილისის ყველა სკოლას დაეგზავნა. ასპარეზობა ჩატარდება სამ ეტაპად — სასკოლო, რაიონული და საქალაქო შეჯიბრებები. დადგენილია შეხვედრათა თარიღებიც. ფინალური საქალაქო შეჯიბრებები 8 აპრილიდან დაიწყება.

თბილისის კომკავშირის კომიტეტთან შექმნილია მუდმივმოქმედი შტაბი. გამოიყო მთავარ მსაჯთა კოლეგია საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტიდან. ასე რომ, ახლა სიტყვა თვითონ სკოლებს ეკუთვნის.

არ შეიძლება დიდი კმაყოფილებით არ აღვნიშნოთ თბილისის პირველი მაისის რაიონის მე-7 და 90-ე საბინაო-საექსპლოატაციო კონტორების (უფროსები ბ. კასარელი, ე. როსტიაშვილი) თაოსნობა. განსაკუთრებული ქების ღირსია მე-7 საექსპლოატაციო კონტორის ახალგაზრდა პედაგოგი-ორგანიზატორი თ. დიხამიძე, რომელსაც მხარი აუბა ენერგიულმა პედაგოგ-ორგანიზატორმა ე. ხუბუამ. მათ უმოკლეს დროში შეძლეს ეზოს გუნდების შეკრება, 100-100 ბავშვისთვის სავარჯიშო ადგილის გამოძებნა, ინვენტარისა და სპორტული ფორმის შეძენა, შეხვედრის მაღალ დონეზე ჩატარება. რაც ყველაზე საყურადღებოა, ნორჩებთან ერთად სარბიელზე გამოდიოდნენ კონტორის უფროსები, პედაგოგი-ორგანიზატორები, სპორტული ოჯახები (დედა, მამა, ორი შვილი). და, თქვენ წარმოიდგინეთ, ბებიებიც კი...

შეხვედრამ ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში ძალიან საინტერესოდ ჩაიარა.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ პირველი მაისის პარტრაიკომის, კომკავშირის კომიტეტის, აღმასკომისა და თბილისის სპორტკომიტეტის ხელმძღვანელების მხარდაჭერა და დიდი დახმარება.

იმედს გამოვთქვამთ, რომ პირველი მაისის რაიონის საბინაო-საექსპლოატაციო კონტორების თაოსნობას სხვა რაიონებშიც აუბამენ მხარს.

ეზოს გუნდების „დილისა“ და „ჩირაღდნის“ შეხვედრის ტელერეპორტაჟი შეგიძლიათ ნახოთ დღეს, სამის ნახევარზე.

მაშ ასე, მეგობრებო! გიწვევთ ტელეეკრანებთან. ამავე დროს ველით თქვენს განაცხადებს, შენიშვნებსა და წინადადებებს.

გ. ყირმელაშვილი,
დოცენტი, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის უმაღლესი სპორტული ოსტატობის ფაკულტეტის დეკანი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

ამ დღეებში ნ. ზარათაშვილის სახელობის ხიდზე გამვლელნი უთუოდ შეამჩნევდნენ თბილისისთვის უჩვეულო სანახაობას: მტკვრის გარდიგარდმო გაჭიმულ ბაგირებზე ჩაკიდულ ნაირფერ კართა შუა მებაიდარენი სწრაფად დასრიალებდნენ. ესენი არიან წყლის სლალომში საქართველოს ნაკრების წევრები, რომლებიც რესპუბლიკურ და საკავშირო სარბიელზე სასპარეზოდ ემზადებიან.

• • •

სურათზე: ვარჯიშის მომენტი.

გ. ტორიაშვილის ტექსტი და ფოტო.

ჭადრაკი

თბილისის ჩემპიონის სახელისთვის

დედაქალაქის მოჭადრაკე ქალები და ვაჟები თავგამოდებით იბრძვიან არა მარტო ჩემპიონის სახელისთვის: თითოეულ ტურნირში პირველ ექვს ადგილზე გასულნი საქართველოს ჩემპიონატის ფინალის საგზურებს მიიღებენ, ქალთა შეჯიბრებაში პირველ სამ ადგილზე მყოფნი კი საქართველოს ქალთა ტრადიციულ VII საერთაშორისო ტურნირში ითამაშებენ.

VI ტურის შემდეგ

ქალთა ტურნირში VI ტურის შემდეგ გადადებული პარტიები გათამაშდა.

საქართველოს ჩემპიონის, ოსტატ თ. ხუგაშვილის უპირატესობა უმნიშვნელო აღმოჩნდა და ოსტატმა ც. კობაიძემ პარტია გააყაიმა. ყაიმით დამთავრდა, აგრეთვე, ნ. იოსელიან — ნ. მელაშვილის და ნ. გურიელ — ს. ცერცვაძის შეხვედრები.

ლიდერობისთვის ბრძოლაში თავი გამოიჩინეს ქ. გაჩეჩილაძემ, ც. კახაბრიშვილმა და მ. ლოლიშვილმა. პირველმა სძლია ს. კალანდარიშვილს, მეორემ — ლ. ბელოზიოროვას, მესამემ — საერთაშორისო ოსტატ ა. ჩაიკოვსკაიას.

წარმატებით ითამაშა ნ. ხუბულურმა ნ. ჩიქობავასთან შეხვედრაში და გამარჯვა. ლ. ხარებაშვილმა დაამარცხა ქ. მელაშვილი.

6 ტურის შემდეგ ლიდერობენ: ც. კობაიძე — 5,5 ქულა, მ. ჩიბურდანიძე — 5, თ. ხუგაშვილი, ქ. გაჩეჩილაძე — 4,5-4,5, მ. ლოლიშვილი, ნ. ხუბულური, მ. წერეთელი, თ. კაჭარავა, ც. კახაბრიშვილი — 4-4.

ლიდერებმა პარტიები გადადეს

ვაჟთა შეჯიბრებაში VIII ტური გათამაშდა.

ლიდერებს მეტოქეებთან ურთიერთობის გასარკვევად თამაშისთვის განკუთვნილი დრო არ ეყოთ. გ. მაჭარაშვილმა გადადო პარტია გ. ხაილენკოსთან, მ. ჭიპაშვილმა კი პ. შაქარიანთან. მესამე ლიდერი — ე. მიქაელიანი „დიდოსტატურ ყაიმს“ (18 სვლა) დასჯერდა ს. კიკილაშვილთან.

გ. ზაიჩიკმა ე. აფრიდონიძესთან პარტიაში საჭირო ქულა მოიპოვა. ე. კუშჩიანი დამარცხდა ნ. ჩახოიანთან, ზ. ბურჭულაძე — დ. გურგენიძესთან (სხვათა შორის, გურგენიძემ კ. ჩიგოგიძესთან VII ტურის პარტია წააგო).

გადაიდო, აგრეთვე, ზ. სტურუა — თ. ხანთაძისა და ზ. აზმაიფარაშვილი — ნ. ალექსანდრიას პარტიები. შეწყვეტილ პოზიციაში ოსტატ ქალს უკეთესი შანსი აქვს.

8 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან გ. მაჭარაშვილი, მ. ჭიპაშვილი — 5-5 ქულა და თითო გადადებული პარტია, ე. მიქაელიანი — 5, გ. ზაიჩიკი, ს. კიკილაშვილი — 4-4 (1-1).

თ. ნინოშვილი.

ორი ლიდერი

ბუქარესტი, 16 მარტი. რუმინეთის ღია ჩემპიონატის VIII ტურში საბჭოთა დიდოსტატმა ტაიმანოვმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა სტანჩუსთან (რუმინეთი). ახლა 5,5-5,5 ქულით ლიდერობენ ტაიმანოვი და მასპინძელი გიზდავუ. მათ კვალში მიჰყვება რუმინელი პარტოში (5 ქულა).

ახლა სმისლოვი

სიენფუეგოსი, 16 მარტი. კაპაბლანკას აქ მიმდინარე ტრადიციულ მემორიალში 19 ტურის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო მოსკოველმა დიდოსტატმა ვ. სმისლოვმა, რომელმაც მნიშვნელოვანი ქულა მოიპოვა — დიდოსტატი ვ. ულმანი (გდრ) დაამარცხა. ახლა მსოფლიოს ექს-ჩემპიონს 15 ქულა აქვს, გერმანელ მოჭადრაკეს კი, რომელმაც ზედიზედ სამი პარტია წააგო, — 14. ვოროშილოვგრადელი გ. კუზმინი III-IV ადგილებს იყოფს კუბელ ს. გარსიასთან — 13,5-13,5 ქულა. მემორიალის მესამე საბჭოთა მონაწილეს, ხარკოველ სავონს 12 ქულა აქვს.

უსახელო ენთუზიასტები და პირველი მერცხალი

ასეთი რამ თბილისში არასდროს გვინახავს: 12-13 წლის ბავშვები ქორივით დასტრიალებდნენ თავს ერთმანეთს და უფროსების წაბაძვით თავისუფალი ჭიდაობის ურთულეს ილეთებს ასრულებდნენ. თანაც, მსუბუქად, ძალდაუტანებლად და, რაც მთავარია, საქმის ცოდნით...

ნორჩებმა ჭიდაობის მართლაც დიდი ცოდნა გამოავლინეს. ჩვენს სახელოვან ფალავნებს რომ იცნობენ, არც გაგვკვირვებია. ჭიდაობა საქართველოში პოპულარულია და, რა გასაკვირია, რომ ბავშვებიც ფეხის ხმას არიან აყოლილნი. მაგრამ ის, რაც სარბიელზე ვნახეთ, მხოლოდ მოდითა და ზედაპირული გატაცებით არ აიხსნება.

აი, სწორედ მაშინ მივხვდით, რომ თბილისის სკოლებში არიან ფიზკულტურის მასწავლებლები — ჭიდაობის უსახელო ენთუზიასტები, რომლებიც უნერგავენ პატარებს ბრძოლისა და ტრადიციის სიყვარულს, ასწავლიან წინაპრების სპორტს, შეძლებისდაგვარად ხვეწენ მათს ოსტატობას და ყოველივე ამის შემდეგ ჩრდილში დგანან — ვითომც არაფერი მომხდარაო. ეს უთუოდ დასაფასებელი ხალხია. ეს ამავე დროს ენთუზიასტთა ის ბირთვია, რომელმაც უნდა შეავსოს და აალორძინოს ჩვენი საუკუნოვანი ტრადიცია.

ყოველივე ამის შესახებ გვესაუბრება სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გ. როსტიაშვილი, რომელსაც არა ერთი და ორი სახელოვანი მოჭიდავე აღუზრდია. მწვრთნელი სახეგაბრწყინებული მიზიარებდა შთაბეჭდილებას და აღტაცებას ვერ ფარავდა.

„მართალი გითხრათ, — თქვა მან, — სრულიადაც არ მოველოდი იმას, რაც ჩემი თვალით ვნახე. წინათ მომავალი თაობის გამო ოდნავ სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი, ახლა კი დავრწმუნდი, რომ სკოლებში თურმე საქმე კეთდება, თანაც დიდი, მამულიშვილური“.

ეს ტურნირი, რომელიც 6-8 მარტს ჩატარდა თბილისში, ორჯონიკიძის ქუჩაზე მდებარე ძველ საჭიდაო დარბაზში, პირველი მერცხალია. ჩვენი ღრმა რწმენით, იგი უსათუოდ იბარტყებს და მერე როგორ! რაც მთავარია, არის ენთუზიაზმი, არის დაინტერესება და არის 12-13 წლის მოჭიდავეთა მრავალრიცხოვანი არმია. საჭიროა მხოლოდ მზრუნველი ხელი და მხარდაჭერა, საჭიროა მასშტაბების გაზრდა და იმათი დაინტერესება, ვისაც ჯერ კიდევ არ გადაუდგამს ნაბიჯი.

ძველი საჭიდაო დარბაზი პატარაა, — იქ ერთი ხეირიანი სარბიელიც დიდი გაჭირვებით ეწყობა. მართალია, ამ ძველმა დარბაზმა ბევრი ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი გამოზარდა, მაგრამ ის სხვა დრო იყო. დღეს კი, როცა საგრძნობლად გაიზარდა საშუალებები, რა თქმა უნდა, ძნელი არ არის შეჯიბრების უკეთ მოწყობა. ეს აუცილებელიცაა, ვინაიდან ბავშვის ფსიქიკაში, რომელიც ეს-ესაა ფორმირებას იწყებს, საყვარელი სპორტი მისი ყველა სიკეთითა და სილამაზით უნდა აღიბეჭდოს. ბავშვს ჭიდაობის სიყვარულს სკოლაში უნერგავენ, შეჯიბრებებში მონაწილეობის სურვილი კი კარგმა ორგანიზაციულმა პირობებმა უნდა გააღვივოს.

პირველ შეჯიბრებას, რა თქმა უნდა, ხარვეზებიც ჰქონდა. აბა, წარმოიდგინეთ, რაოდენ ძნელია 170-ზე მეტი ბავშვის მომსახურება სამი დღის მანძილზე, როცა მხოლოდ ერთი ხარბიელია და მონაწილეები ფეხზე მდგარნი ელიან თავიანთ რიგს. შეჯიბრების მომწყობნი ვადებში ჩასატევად ხშირად ერთ ხალიჩაზე ორ წყვილს აჭიდავებდნენ. ნორმალური პირობები არ იყო, რა დასამალია, მაგრამ ამაზე დღეს არაფერს ვამბობთ, ვინაიდან ექსპერიმენტმა მაინც დადებითი შედეგი მოგვცა. თბილისის განათლების განყოფილების სპორტსკოლას მადლობის მეტი არაფერი ეთქმის ამ კარგი წამოწყებისთვის.

მაგრამ მოდით და ახლა წინ გავიხედოთ. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ამიერიდან ჩატარდეს მსოფლიო პირველობა 13-14 წლის ბავშვებში. ეს გადაწყვეტილება გვავალდებულებს საქმეს ფხიზელი თვალით შევხედოთ. როგორც ხედავთ, საკითხი სცილდება ცალკეულ ორგანიზაციათა თუ პირების ინიციატივას და საზოგადოებრივ მნიშვნელობას იძენს. მაშინ ნუ დავიზარებთ და უფრო ფართოდ გავუღოთ კეთილმოწყობილი დარბაზების კარი პატარებს. თუ დღევანდელ მოასპარეზეთაგან რამდენიმემ გზა გაიკაფა დიდ სპორტში, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცდას უნაყოფოდ არ ჩაუვლია.

მაშ ასე, შევთანხმდეთ იმაში, რომ ნორჩ მოჭიდავეთა ტურნირები უნდა დაინერგოს, შევთანხმდეთ იმაშიც, რომ პატარებს ბრძოლისა და წვრთნისთვის ნორმალური პირობები უნდა შევუქმნათ. ვინ იცის, იქნებ სწორედ ამ ტურნირმა გამოავლინოს ხვალინდელი კარტოზიები და ბალავაძეები.

ახლა კი სიამოვნებით ვასახელებთ 15 გამარჯვებულის გვარებს (პატარებისთვის სწორედ ამდენი წონითი კატეგორიაა): ზ. ფირიაშვილი (32 კგ), მ. ფირუზაშვილი (35 კგ. ორივე — დიღომი), გ. პეტრუშენკო (38 კგ. 115-ე სკოლა), ტ. აბუაშვილი (41 კგ), ა. იარაჯული (44 კგ. ორივე — მე-10 სკოლა), გ. ხოსიტაშვილი (47 კგ. 117-ე სკოლა), ზ. ჩერტყოშვილი (50 კგ. მე-15 სკოლა), ს. ქოქიაშვილი (53 კგ. მე-4 სკოლა), ზ. ოქრომაშვილი (56 კგ. 130-ე სკოლა), გ. ბასილაშვილი (59 კგ. 151-ე სკოლა), ჯ. გავაშელი (62 კგ. 147-ე სკოლა), თ. წიკლაური (68 კგ. მე-3 სკოლა), გ. მარიამული (71 კგ. დიღომი), თ. რუხაძე (77 კგ. მე-2 სკოლა), ზ. ავლოხოვი (81 კგ. მე-10 სკოლა).

ნ. გუგუშვილი.

შაში

სემინარი

თბილისში რამდენიმე დღეს გაგრძელდა საშაშო კომპოზიციის მსაჯთა პირველი საკავშირო სემინარი, რომელშიც შაშის ცნობილი საბჭოთა კომპოზიტორები მონაწილეობდნენ.

შაშის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, სსრ კავშირის შაშის ფედერაციის პასუხისმგებელმა მდივანმა, საერთაშორისო არბიტრმა ლ. ჩუბაროვმა საზეიმო ვითარებაში გადასცა ჯილდოები შაშის კომპოზიტორთა II საკავშირო ჩემპიონატში გამარჯვებულებს.

ოქროს მედლები მიიღეს ვ. მატუსმა (ვოლგოგრადი) და ბ. ვოლკოვმა (კალინინი), ვერცხლისა — გ. კეტლერმა (კრივოი როგი) და კ. ხალეცკიმ (ტაშკენტი), ბრინჯაოსი — ა. აიუპოვმა (ასბესტი), მ. სტანოვსკიმ (ოდესა) და პ. მატუსმა (მინსკი).

სემინარმა განიხილა საშაშო კომპოზიციის განვითარების ძირითადი პრობლემები.

საგანგებო კომისიამ საერთაშორისო არბიტრ ა. ეინდერმანის (მოსკოვი) ხელმძღვანელობით დაამუშავა კომპოზიციების ავტორთა პრიორიტეტის შესახებ დებულების პროექტი. ამ პროექტში შეტანილია საშაშო კომპოზიციების შეფასების სისტემა, რომლის კრიტერიუმად აღებულია: კომპოზიციის ორიგინალობა, ბუნებრიობა და უბრალოება, ბოლო სვლის ლოგიკურობა, ამოხსნის მექანიზმი, მცდარი კვალი და სხვ.

განისაზღვრა საშაშო კომპოზიციის ჟანრები. აი, ზოგიერთი მათგანი: ეტიუდი, ამოცანა, კომბინაციური დაბოლოებები, პოზიციური დაბოლოებები როგორც რუსულ, ისე საერთაშორისო შაშში.

სემინარმა განიხილა რამდენიმე საორგანიზაციო საკითხი საერთაშორისო და საკავშირო კონკურსებში საბჭოთა კომპოზიტორების მონაწილეობასთან დაკავშირებით.

ვ. ინწკირველი,
სემინარის მონაწილე, ოსტატობის კანდიდატი.

სტარტი აიღეს

გუშინ თბილისში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში, დაიწყო საქართველოს პირველობა ასუჯრიან შაშში.

მონაწილენი (ყველა ოსტატობის კანდიდატია) სატურნირო ცხრილში წილისყრით ასე განლაგდნენ: 1. ნ. ძამუნაშვილი (თბილისი), 2. ე. რომანოვი (სოხუმი), 3. პ. ყაჭეიშვილი (თბილისი), 4. რ. რეხვიაშვილი (რუსთავი), 5. გ. ამირხანოვი, 6. ს. თომაშვილი, 7. პ. კუჩეროვი (სამივე — თბილისი), 8. დ. თევდორაძე (ბათუმი), 9. ნ. ხუციშვილი, 10. ვ. ბახტაძე, 11. ვ. ინწკირველი, 12. შ. ბოთერაშვილი (ყველა — თბილისი), 13. ა. კონჯარია, 14. ზ. ხოფერია (ორივე — ფოთი).

სამწუხაროდ, ტურნირში არ თამაშობენ საქართველოს შარშანდელი ჩემპიონი, ოსტატი გ. ბარამიძე (სოხუმი), ოსტატი ძმები — თენგიზ და თამაზ ბარამიძეები, ჭაბუკთა მსოფლიო პირველობის ვერცხლის პრიზიორი ბ. შავერდიანი.

შეჯიბრებაში I-II ადგილებზე გასული მოშაშენი საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში ითამაშებენ.

პირველობა 31 მარტს დამთავრდება. ტურნირი მძიმე რეგლამენტით ტარდება: მეტოქენი ზედიზედ ექვს ტურს გაითამაშებენ (თითოეული ტური 6 საათს გაგრძელდება), მერე შედგება გადადებული პარტიების დამთავრება და ისევ ზედიზედ ექვსი ტური. ბოლოს, XIII ტურის წინ კიდევ ერთხელ გადადებული პარტიების დამთავრება მოეწყობა.

ყოველი ტურის დასაწყისი 10 საათსა და 30 წუთზეა.

ფეხბურთი

თასისთვის ბრძოლაში

16 მარტს ქვეყნის სამხრეთის ქალაქებში გაიმართა სსრ კავშირის თასის მეთექვსმეტედფინალის მორიგი მატჩები.

ერთნაირი ანგარიშით (1:1) დამთავრდა სამი მატჩი: „ზენიტი" (ლენინგრადი)—„სპარტაკი" (ნალჩიკი), „კარპატი" (ლვოვი) — „ნეფთჩი" (ბაქო), „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი)—„ლოკომოტივი" (მოსკოვი).

ოდესის „ჩერნომორეცმა" დაამარცხა როსტოვის არმიელთა გუნდი — 2:0. ალმა-ათის „ყაირათმა" ასეთივე ანგარიშით მოუგო დუშანბეს „პამირს".

მინსკის „დინამოსა" და პერმის „ზვეზდის" შეხვედრაში გაიმარჯვეს მინსკელებმა — 1:0. „არარატმა" ასეთივე ანგარიშით მოუგო ფრუნზეს „ალგას".

დონეცკის „შახტიორისა" და ზაპოროჟიეს „მეტალურგის" მატჩი ცუდი ამინდის გამო არ ჩატარებულა და მარტის დამლევისთვის გადაიდო.

გუშინ სოჭში ვოროშილოვგრადის „ზარიამ" ორჯონიკიძის „სპარტაკს" მოუგო — 2:1.

დღეს სეზონი იხსნება

18 მარტს, 11 საათზე, თბილისის ოფიცერთა სახლის სპორტკლუბის სტადიონზე (შაუმიანის ქ. № 59) მოეწყობა ფეხბურთის საქალაქო სეზონის გახსნისადმი მიძღვნილი საზეიმო აღლუმი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ გათამაშების I და II ჯგუფების გუნდები.

საზეიმო გახსნის შემდეგ, 11 საათსა და 30 წუთზე, ერთმანეთს შეხვდებიან უნივერსიტეტისა და სტუდქალაქის გუნდები, ხოლო 13 საათსა და 30 წუთზე — „ელვა" და „ავტომობილისტი".

დღეს გაიმართება სხვა კალენდარული შეხვედრებიც. „ისნის" სტადიონზე 12 საათსა და 30 წუთზე ითამაშებენ მწვრთნელთა სკოლისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდები. მაუდ-კამვოლის კომბინატის სტადიონზე შედგება სამი მატჩი: „ელმავალი" — ყრუ-მუნჯთა საზოგადოება, „ივერია" — „ცენტროლიტი", პოლიტექნიკური ინსტიტუტი — „თოლია". ეს თამაშებიც პირველის ნახევარზე დაიწყება.

გამოცდილებამ თავისი გაიტანა

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 16 მარტი.

„ტორპედო" (ქუთაისი) — ცსკა 0:3 (0:2).

„ტორპედო": ბერიძე, ბუძიშვილი (ნაჭყებია), წვერავა, ფრიდმანი, ჭოხონელიძე, მაზიაშვილი, ოქროპირაშვილი, ჩახუნაშვილი, ფესტვენიძე, ცირეკიძე, ფარულავა (შელია).

ცსკა: ასტაპოვსკი, უტკინი, პლახეტკო, კაპლიჩნი, ისტომინი, შლაპაკი, ფედოტოვი, კუზნეცოვი, კოპეიკინი, დოროფეევი (კალაშნიკოვი), დუდარენკო.

მსაჯი ვ. ფარდმანი (ეისკი).

ძლიერმა წვიმამ, რომლის შედეგადაც სათამაშო მინდორი ძალიან დამძიმდა, საგრძნობი გავლენა მოახდინა მებრძოლი მხარეების ძალთა შეფარდებაზე. ცსკა-ში გამოცდილი, მრავლის მნახველი მოთამაშეები არიან, რომლებმაც თავიდანვე აუღეს ალღო შექმნილ მდგომარეობას. ისინი მოქმედებდნენ გაშლილად, ბევრს მოძრაობდნენ, წამითაც არ აყოვნებდნენ ბურთს და გრძელი გადაცემებით ერთმანეთს დაუცველ ადგილზე გასვლის შესაძლებლობას უქმნიდნენ. თითოეულმა არმიელმა კარგად იცის, როგორ ითამაშოს ატალახებულ მინდორზე, რა ვითარებაში როგორ მოიქცეს.

ტორპედოელებზე ამას ვერ ვიტყვით. მოთამაშეთა უმეტესობა აქ ახალგაზრდა და გამოუცდელია, ამიტომ ძნელად ეგუება განსხვავებულ პირობებს. ამ მატჩში, მაგალითად, ისინი ბევრ დროს კარგავდნენ ბურთის ტარებაზე, გაუმართლებელ დრიბლინგზე მინდვრის შუაგულში, რომელსაც არავითარი სარგებლობა არ მოუტანია. მოკლე გადაცემები უახლოეს პარტნიორებს შორის ბევრ დროს მოითხოვდა, წინ მოძრაობა კი საგრძნობლად ფერხდებოდა. მთელი მატჩის მანძილზე იგრძნობოდა ხერხაძის არყოფნა, რომელიც ავად იყო. წარმმართველი და მაორგანიზებელი მოთამაშის როლი „ტორპედოში" ვერავინ შეასრულა. ბევრი რამ ევალებოდა ნახევარდაცვის წამყვან მოთამაშეს ოქროპირაშვილს, მაგრამ, პირდაპირ უნდა ითქვას, ამ მატჩში მან იმედი ვერ გაამართლა.

მიუხედავად ამისა, მასპინძლებს შეეძლოთ ასეთი ანგარიშით არ წაეგოთ მატჩი. მათ ჰქონდათ წარმატების მიღწევის რამდენიმე შესაძლებლობაც, მაგრამ ვერ გამოიყენეს. ამასთან, საიმედოდ ითამაშა მეკარე ასტაპოვსკიმ, რომელიც განსაკუთრებით ძლიერი იყო მაღალი ბურთებისთვის ბრძოლაში.

ანგარიში 23-ე წუთზე გახსნა ფედოტოვმა. მან შორიდან მოწოდებული ბურთი ზუსტი, ოსტატური დარტყმით შეუჩერებლად გაგზავნა „ცხრიანში". ტაიმის დასასრულს იმავე ფედოტოვმა, რომელმაც საუკეთესო თამაშით გამოიჩინა თავი, სწრაფად მიიღო ბურთი მოწინააღმდეგე მცველთა ალყაში და მეორედ აიძულა ტორპედოელები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში.

შესვენების შემდეგ ქუთაისელთა შემადგენლობაში გამოჩნდა შელია, რომელმაც საგრძნობლად გამოაცოცხლა თავდასხმის თამაში. შეტევა უფრო სწრაფი და აქტიური გახდა. მატჩი თითქოს ამ ანგარიშით უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ მე-80 წუთზე „ტორპედოს" დაცვაში დაშვებული იქნა შეცდომა, რომელიც კარგად გამოიყენა კოპეიკინმა — 3:0.

წლევანდელი პირველი ოფიციალური მატჩი ქუთაისის ტორპედოელებმა საკუთარ მინდორზე დიდი ანგარიშით წააგეს, მაგრამ ამან არ უნდა გამოიწვიოს საკუთარი ძალების ურწმუნობა და უნდობლობა. გუნდი ახალგაზრდულია, პერსპექტიული, იგი მხოლოდ ახლა ძებს თავის თამაშს და ასეთმა მატჩმა მხოლოდ გამოცდილება უნდა შესძინოს ფეხბურთელებს. იმედი გვაქვს, ქუთაისის „ტორპედო" თავის სიტყვას იტყვის, მაგრამ მას ქალაქის ხელმძღვანელი ორგანოებისგან მეტი ხელშეწყობა და დახმარება სჭირდება, რათა პირველობის მატჩებს კარგად მომზადებული შეხვდეს.

ნ. ახალკაცი,
სპორტის ოსტატი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

შესარჩევი მატჩები

დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი აზიის ზონის „ბ" ჯგუფის პირველ ქვეჯგუფში. აქ მონაწილეობენ ავსტრალიის, ერაყის, ახალი ზელანდიისა და ინდონეზიის ფეხბურთელთა გუნდები.

ავსტრალიელებმა პირველი მატჩი ფრედ (1:1) ითამაშეს ახალი ზელანდიის ნაკრებთან, შემდეგ კი ანგარიშით 3:1 დაამარცხეს ერაყის გუნდი. ახალზელანდიელებმა ფრედ ითამაშეს ინდონეზიის ნაკრებთან — 1:1.

ტურნირი 24 მარტამდე გასტანს.

გნატოვის სამი მედალი ■ მიკის მსოფლიო რეკორდი

ტაშკენტი, 16 მარტი. მეგობრობის თასზე ძალოსანთა აქ დაწყებული ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის პირველი ლაურეატი გახდა საბჭოთა სპორტსმენი ა. გნატოვი, რომელმაც ყველას აჯობა. უმსუბუქეს წონაში (52 კგ-მდე) — ორჭიდში 215 კგ დააგროვა.

ატაცში მან 90 კგ დაძლია. ასეთივე წონა დაიმორჩილა ფ. კასამაიორს (კუბა), გ. კოსეგის (უნგრეთი) და ა. ვორონინს (სსრკ), მაგრამ გნატოვი ყველაზე მსუბუქი აღმოჩნდა. ვერცხლი კოსეგის ხვდა, ბრინჯაო—კასამაიორს.

აკვრა გნატოვმა მაშინ დაიწყო, როცა მისმა მეტოქეებმა ყველა ცდა გამოიყენეს. ამ მომენტისთვის საუკეთესო შედეგი — 122,5 კგ — კასამაიორს ჰქონდა. გნატოვმა პირველივე ცდით 125 კგ დაიმორჩილა და ამ მოძრაობაშიც გაიმარჯვა და ორჭიდის ჯამშიც.

შემდეგ მაყურებლები მსოფლიო რეკორდთან გნატოვის ჭიდილის მოწმენი გახდნენ: შტანგის წონა 133 კგ მდე გაზარდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ლეოველი ძალოსნის იერიში ამჯერად ამაო გამოდგა. და მაინც რეკორდების ანგარიში გაიხსნა: ბ. პახოლმა ორჯერ გააუმჯობესა ჩეხოსლოვაკიის რეკორდი: ჯერ 117,5 კგ დაძლია, მერე — 120.

შეჯიბრების პირველი დღის მშვენებად იაპონელი კ. მიკის (56 კგ-მდე) მსოფლიო რეკორდი უნდა ჩაითვალოს. მან 116 კგ აიტაცა, კილოგრამით დაამძიმა თავისივე მსოფლიო რეკორდი. ეს იყო ერთობ მნიშვნელოვანი განაცხადი ორჭიდში გამარჯვებისთვის, — იაპონელი ძალოსანი საბჭოთა ათლეტ ვ. ანიკინს 10 კილოგრამით უსწრებდა. მაგრამ ანიკინმა ფარ-ხმალი არ დაყარა და აკვრაში პირველი ცდისთვის 137,5 კგ დაუკვეთა. ვარაუდი გამართლდა: მიკიმ თავდაპირველად 127,5 კგ დაძლია, ხოლო ორი შემდგომი მისვლა 132,5 კილოგრამის დასამორჩილებლად უნაყოფო გამოდგა. გამოვიდა ჯამი 242,5 კგ, იმდენივე, რამდენიც ანიკინმა დააგროვა, მაგრამ საბჭოთა სპორტსმენი თავის მრისხანე მეტოქეზე 50 გრამით მსუბუქი აღმოჩნდა.

პრიზიორები

უმსუბუქესი წონა. 1. ადამ გნატოვი — 215 (90+125), 2. ფრანსისკო კასამაიორი — 212,5 (90+122,5), 3. გეორგი კოსეგი — 210 (90+120).

მსუბუქი. 1. ვლადიმერ ანიკინი — 242,5 (105+137,5), 2. კოძი მიკი — 242,5 (115+127,5), 3. ანტონი პავლაკი (პოლონეთი)—225 (100+125).

შეჯიბრებაში, რომელიც ტაშკენტის სპორტულ დარბაზ „იუბილეინიში" მიმდინარეობს, 18 ქვეყნის 101 ძალოსანი მონაწილეობს.

აი, ასეთი ზარ-ზეიმით, შამპანურის ჭავლით აღნიშნეს ბრიტანეთის საერთაშორისო ავტორალიში 33 წლის ინგლისელი როჯერ კლარკისა (მარჯვნივ) და ტონი მესონის გამარჯვება. კლარკმა შამპანურის შადრევანი პირდაპირ დაუმიზნა თანაგუნდელს, რაზეც ეს უკანასკნელი მაინცდამაინც უარს არ ამბობს. მათი ეკიპაჟი „ფორდის" მარკის მანქანით ასპარეზობდა, თანაც მეცხრედ მონაწილეობდა ამ რალიში.

ასოშიეიტედ პრესის ფოტო.

რინგი

სამი ერთზე

პროფესიული მოკრივე კასიუს კლეი ზედმეტი მორცხვობით არასდროს გამოირჩეოდა. ყოველი მორიგი ბრძოლის წინ, სულ ერთია, ვისაც უნდა ხვდებოდეს, იგი უხვად არიგებს ოპტიმისტურ განცხადებებს და იმ რაუნდსაც კი ასახელებს, რომელშიც გამარჯვება უნდა მოიპოვოს. სხვათა შორის, კლეი უმეტესად ასრულებს სიტყვას.

მძიმე წონაში მსოფლიოს ექს-ჩემპიონის ბოლო ტრადიციული განცხადება საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ამჯერად კლეი განსაკუთრებით კარგ ფორმაშია. „მე ჩემი შესაძლებლობები მთლიანად თითქმის არასდროს გამომიყენებია. ერთ საღამოს ერთი მეტოქე არ მყოფნის",— ეს სიტყვები ამოღებულია დასავლეთ გერმანიის გაზეთ „ფრანკფურტერ ალგემაინედან". თავისი ძალის დემონსტრირებისთვის 31 წლის კასიუს კლეიმ რინგის ბიზნესმენებთან დადო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მასში უნდა ჩაატაროს 15-რაუნდიანი ბრძოლა სამ პროფესიონალთან. მის წინააღმდეგ რინგზე მორიგეობით გამოვლენ პუერტორიკოელი ჟოზე რომანი, ესპანელი მანუელ იბრ ურტაინი და ვენესუელის ჩემპიონი ლუის გარსია.

ეს არნახული სპექტაკლი ლას-ვეგასის სპორტის სასახლეში მოეწყობა. მიუხედავად მისი შედეგისა, კლეი 100 ათას დოლარს მიიღებს. უთვალი მოგებული ბრძოლისთვის მას კიდევ 50 ათასი მიეცემა პრემიის სახით.

ვ. ვინოგრადოვი.
(„იზვესტია").

რედაქტორი მ. კაპანაძე.

ობიექტივში მსოფლიო

შამპანურის ჭავლი

◆

ამიერიდან — შეერთებული ძალით

ამ სურათზე აღბეჭდილ მოღიმარ სპორტსმენებს თავიანთი სახელმწიფოებისთვის ბევრჯერ მოუტანიათ დიდება, ამიერიდან კი ალბათ შეერთებული ძალით შეუტევენ ახალ მწვერვალებს. ქალი ცნობილი ინგლისელი მძლეოსანი ჯანეტ სიმპსონია. იგი ცოლად გაჰყვა 200 მეტრზე რბენაში შვეიცარიის ჩემპიონს ფილიპ კლერკს.

ასოშიეიტედ პრესის ფოტო.



20 მარტს

საქართველოს ალპიურ კლუბში სპორტის ოსტატი ტ. ლუკაშვილი წაიკითხავს ლექციას თემაზე: „აკლიმატიზაცია და მთის რელიეფის დახასიათება".

დასაწყისი 19 ს.